

## გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

„საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესახებ“ საქართველოს  
ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის  
პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა. ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მიღება დაკავშირებულია „ყოფილი სამხრეთ  
ოსეთის ავტონომიურ ოლქში კონფლიქტის დროს დაზარალებულთა  
ქონებრივი რესტიტუციისა და კომპენსაციის შესახებ“ საქართველოს  
კანონის მიღებასთან.

ა. ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიზანს წარმოადგენს რესტიტუციისა და  
კომპენსაციის კომისიის გადაწყვეტილების გასაჩივრების მექანიზმის  
შემოღება.

ა. გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტი ითვალისწინებს, რომ რესტიტუციისა და  
კომპენსაციის კომისიის გადაწყვეტილებები „ყოფილი სამხრეთ ოსეთის  
ავტონომიურ ოლქში კონფლიქტის შედეგად საქართველოს ტერიტორიაზე  
დაზარალებულთა ქონებრივი რესტიტუციისა და კომპენსაციის შესახებ“  
საქართველოს კანონით დადგენილი პროცედურების დარღვევის  
შემთხვევაში გასაჩივრდეს საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ. ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი  
ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ საჭიროებს რაიმე ხარჯებს.

ბ. ბ) კანონის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის  
საშემოსავლო ნაწილზე.

ბ. გ) კანონის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვის ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ იწვევს ცვლილებებს ბიუჯეტის  
ხარჯვით ნაწილში.

ბ. დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:  
კანონპროექტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ. ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთაა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მიღება:  
კანონპროექტი არ იწვევს ფინანსურ შედეგებს.

ბ. ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):  
კანონპროექტით არ ღვინდება რაიმე სახის გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი.

### გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ. ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის ღირეტივებთან:  
კანონპროექტი არ მოდის წინააღმდეგობაში ევროკავშირის ღირეტივებთან.

გ. ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:  
კანონპროექტის მიღებით არ იცვლება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ. გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:  
კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

### დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში:  
კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობა არ მიუღიათ ექსპერტებს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულები) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:  
კანონპროექტთან დაკავშირებით არ არის გამოთქმული შენიშვნები.

დ. გ) კანონპროექტის ავტორი:  
საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.

დ. დ) კანონპროექტის ინიციატორი:  
საქართველოს პრეზიდენტი.